საქართველო გლობალიზაციის და ტრანსნაციონალიზაციის პირისპირ

ლაშა ვაშაკიძე
სტუ-ს დოქტორანტი

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ახალ-ახალი სახელმწიფოები ერთვებიან. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან თანდათანობით დაახლოებით, საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობით ამ პროცესში ებმება საქართველოც. ის განუხრელად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის აზროვნებასა და ქცევაზე. "გლობალიზაცია და ტრანსნაციონალიზაცია საქართველოს მსოფლიო მასშტაბით წარმოების განზოგადება-ინტერნაციონალიზაციის, კაპიტალის თავისუფალი ბრუნვის, საერთაშორისო ბაზარზე გასვლის, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის გამოცდილების სწრაფი გაცვლის პროცესში დაეხმარა. ხელი შეუწყო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და იდეოლოგიურად მოწესრიგებულ სამყაროსთან ქვეყნის ინტეგრაციას. გლობალიზაცია საქართველოს ეხმარება იმ დახურული სივრციდან გასვლაში, რომელიც ასწლეულების განმავლობაში აშორებდა პროგრესული პროცესების უზრუნველყოფას, მის უსაფრთხოებას და დემოკრატიულ განვითარებას" [1, გვ. 125].

მაგრამ, ნებისმიერი ქვეყნის, მ. შ. საქართველოს მონაწილეობა გლობალიზაციასა და ტრანსნაციონალიზაციაში, – როგორც ამას სწორად შენიშნავს ქართველი მეცნიერი ე. მექვაბიშვილი, – "ეროვნული და ინტერნაციონალური ასპექტების ურთიერთმიმართების დიალექტიკასთან ერთად, მთელ რიგ აქტუალურ და სადისკუსიო საკითხების გარკვევასაც მოითხოვს, კერძოდ, არის თუ არა ქვეყანა მზად გლობალიზაციაში მონაწილეობის სანაცვლოდ ეროვნული სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის დასათმობად? როგორია თანაფარდობა სუვერენიტეტის ამ დათმობილ ნაწილსა და გლობალიზაციიდან მიღებულ სარგებელს შორის? რა გზებით შეიძლება უფრო ეფექტიანად ჩაერთოს ქვეყანა გლობალიზაციასა და ტრანსნაციონალიზაციაში – დამოუკიდებლად თუ რომელიმე რეგიონალურ გაერთიანებაში მონაწილეობის გზით?" [2, გვ. 29].

ასე რომ, როცა ქვეყნის ტრანსნაციონალიზაციის ტენდენციებზე და პერსპექტივაზე ვმსჯელობთ, რომელიც გლობალიზაციის ნაწილია, და, რომლის მეშვეობითაც გლობალიზაცია მიმდინარეობს (თანაც, არა მხოლოდ ეკონომიკური გლობალიზაცია, არამედ პოლიტიკურიც), ყველაფერი, ყველა ნიუანსი უნდა აიწონ-დაიწონოს, უნდა შეჯერდეს და შეჯამდეს დანაკარგიც და სარგებელიც, უნდა გაირკვეს არსებობს კი გადარჩენის სხვა გზა?

არა ერთი და ორი მეცნიერის შეხედულებით გლობალიზაცია თანამედროვე ცივილიზაციის კანონზომიერი განვითარების თანმდევი პროცესია, რომელიც "მომავალში უფრო მეტად განვითარდება. სახელმწიფოები მას წინ ვერ აღუდგებიან, რადგან არ არსებობს მისი შეჩერების პირობები და ფაქტორები. ამიტომ უმჯობესია დროულად ვმართოთ მოვლენები, რომლებიც ამ პროცესებს ქვეყნის სასარგებლო ფაქტორებად აქცევს. გლობალიზაციის პროცესი ქვეყნებმა თავის სასიკეთოდ უნდა გამოიყენონ და უარყოფითი შედეგები თავიდან აიცილონ. გლობალიზაცია არ სცნობს ეროვნულობას. ის მხოლოდ უნივერსალურ ღირებულებებს ავითარებს და ამით ინდივიდებს და ქვეყნებსაც კი ერთმანეთს ამსგავსებს" [1, გვ. 125].

დღეს რომ მსოფლიო გლობალური სამყაროს შექმნისკენ მოძრაობს, ამას ყველა მეცნიერი აღიარებს. ეს მსოფლიოს ქვეყნების განვითარების პრაქტიკიდანაც ჩანს (მიგრაციული ტალღები, უცხოელებზე მიწების შეუზღუდავი გაყიდვა, პირადობის მოწმობებში ეროვნულობის გაქრობა და ა. შ.), მაგრამ გავიმეორებთ ბატონ ე. მექვაბიშვილის სიტყვებს – "საქართველო არის ამისთვის მზაად?"

გლობალიზაცია და ტრანსნაციონალიზაცია გარკვეული დილემის წინაშე, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ პატარა სახელმწი-ფოებს, მ. შ. საქართველოს აყენებს. ისმის კანონზომიერი კითხვა: გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი? ქართველი მეცნიერი ლ. ჩიქავას პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: "არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეცადონ ამ პროცესისგან განზე განდგომას, ჯერ ერთი იმიტომ,

რომ იგი ობიექტური პროცესია და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია და, მეორე, შესაძლებლობაც რომ იყოს, მიზანშეუწონავი იქნებოდა, რამეთუ მას გარდუვლად მოყვება ქვეყნის იზოლაციაში დარჩენა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესისგან გარიყვა" [3, გვ. 5]. მაგრამ იგივე მეცნიერი მიუთითებს, რომ "იმავდროულად ქვეყნებმა იმუნიტეტი უნდა გამოიმუშაონ იმ საშიშროებათა მიმართ, რომლებსაც ეს პროცესები შეიცავენ და ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ მათი ნეგატიური შედეგების შესამსუბუქებლად". პატივცემულ მეცნიერს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს "ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის დარეგულირება და ორგანიზებული წარმართვა", რაშიც ჩვენ მას სავსებით ვეთანხმებით.

მაგრამ, ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოს თავზე იმდენმა ქარტეხილმა გადაიარა (სამოქალაქო ომი, ეთნოკონფლიქტები, მთავრობათა ცვლა, აგვისტოს ომი რუსეთთან და სხვა მრავალი), რომ არათუ გლობალიზაციის დარეგულირებაზე, არამედ, ბოლო წლებამდე, ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შექმნაზეც კი არავის უფიქრია. ნაწილობრივ ეს მოხერხდა 2012 წლის 1 ოქტომბერს ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსლვის შემდეგ და ამ თემაზე მუშაობა ეხლაც მიმდინარეობს.

ჩვენი წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ გლობალიზაციის და ტრანს-ნაციონალიზაციის პროცესში სპონტანურად და დაუფიქრებლად კი არ ჩავერთოთ (თუმცა უკვე ვართ მასში ჩართული), არამედ მივცეთ მას ორგანიზებული ხასიათი. ამისათვის, როგორც ქართველი მეცნიერი ნ. ჭითანავა შენიშნავს, "ამოსავალი საწყისი ისაა, რომ საქართველომ როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ სწორად აღიქვას გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ პროცესში ჩამოყალიბებული ან ფორმირებად პოზიტიურ ფაქტორთა ის ერთობლიობა, რომელიც უფრო მეტად მოერგება დღეს და მომავალშიც ეროვნული ეკონომიკის და საერთოდ ქვეყნის განვითარების თავისებურებებს და სტრატეგიულ ამოცანებს" [4, გვ. 88]. ამავე მეცნიერის აზრით, "ლოგიკურია რომ სუვერენულმა სახელმწოფომ ინდივიდუალურად (საკუთარ ისტორიასთან, ტრადიციებთან მითითებაში) გლობალიზაციასთან ადაპტირების სტრატეგია შეიმუშავოს" [3, გვ. 5].

იგივე საკითხზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს საქართველოს პატრიარქი ილია II, ქართველი ერის სულიერი მამა: "ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფოს ინტერესები... ეს არის დროის გამოწვევა... ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორც ჩვენს მამა-პაპათ გამოუვლიათ. მოგმართავთ ყველას... შეინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა... იბრძოლოთ ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი წილი დიდგორი, თქვენი ბასიანი!" [5, გვ. 3].

რა თქმა უნდა, რომ ილია II "იარაღით ბრძოლისკენ" არ მოგვიწოდებს. იგი გვაფრთხილებს, რომ გლობალიზაციის და ტრანსნაციონალიზაციის მიმართ გამოვიჩინოთ საჭირო სიფრთხილე, ეროვნული ღირსების და სიამაყის გრძნობა, არ დავჩლუნგდეთ, არ გავითქვიფოთ მსოფლიოს ერებში, არ მოხდეს ჩვენი გადაჯიშება და ა. შ.

ეს ტკივილი აწუხებს ქართველ მწერლებსაც, რომელთაც ეშინიათ, რომ გლობალიზაციის და ტრანსნაციონალიზაციას ფენომენი თუ ერთიან, მსოფლიო მთავრობას არ შექმნის, ერების ეროვნულ ღირსებას ჩაკლავს. "ხალხი, რომელსაც ეროვნული ღირსების და სიამაყის გრძნობა უჩლუნგდება, – წერდა მწერალი ო. ჭილაძე, მართალია აგრძელებს ბიოლოგიურ სიცოცხლეს, მაგრამ კი არ მრავლდება, სხვა ხალხებში ითქვიფება, ილექება... საკუთარს კი არ ქმნის, სხვათა შექმნილს იმეორებს, ხოლო სხვა კულტურის მექანიკური გამეორება ერის თვითმკვლელობას ნიშნავს და, ბუნებრივია, აღარ არის საინტერესო დანარჩენი მსოფლიოსთვის" [6, გვ. 30].

მაშასადამე, საქართველოს მეცნიერები, მწერლები, რელიგიური მოღვაწეები და სხვანი, ერთნი არიან იმაში, რომ საქართველო არ უნდა განუდგეს გლობალიზაციას და ტრანსნაციონალიზაციას, მაგრამ ამ პროცესში მან არ უნდა დაკარგოს თავისი თვითმყოფადობა, თავისი ეროვნულობა. ამის მისაღწევად მარტო სიტყვიერი დეკლარირება არ კმარა. ამისათვის საჭიროა გლობალიზაციასთან ადაპტირების სტრატეგიის შემუშავება, რასაც ვერც ერთი ადამიანი გააკეთებს და ვერც ერთი სპეციალობის კაცი. ამისათვის, საქართველოს მთავრობის პოლიტიკური ნებით უნდა შეიქმნას პროექტი პირობითი სახელწოდებით: "საქართველოს ადაპტაცია გლობალიზაციის და ტრანსნაციონალიზაციის პროცესში", გამოიყოს მისთვის სათანადო დაფინანსება და ჩამოყალიბდეს პროექტის შემსრულებელი გუნდი. მასში არ უნდა შევიდნენ ქართულ-ეროვნულობას ძირმოწყვეტილი, უცხოეთში აღზრდილი ახალ-

გაზრდები, რადგანაც ისინი სამშობლოსაგან გაუცხოებული არიან და სიტყვა "პატრიოტიზმი" გარკვეულწილად საჩოთირო სიტყვად მიაჩნიათ. ამ გუნდის წევრების შერჩევის უფლება საქართველოს მოსახელობას უნდა მივცეთ და არა პარლამენტს, მთავრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ანდა მათგან გულუხვად დაფინანსებულ სხვადასხვა ჯურის ასოციაციებს. ამ გუნდში უნდა შევიდნენ ეკონომისტებიც, დემოგრაფებიც, პოლიტიკოსებიც, სოციო ლოგებიც, რელიგიის მსახურნიც, მწერლებიც და სხვა სპეციალობის ადამიანებიც. გუნდის მუშაობა არ უნდა იყოს ერთჯერადი, რადგან გლობალიზაციაც და ტრანსნაციონალიზაციაც ხანგრძლივვადიანი პროცესი იქნება, სხვადასხვა პერიოდში იგი სხვადასხვა სახეს და გამოხატვის სხვადასხვა ფორმას მიიღებს, რაზეც ქართულ სახელმწიფოს სათანადო რეაგირება უნდა ჰქონდეს.

ამ გუნდმა მუშაობა უნდა დაიწყოს იმ გეოპოლიტიკური კონცეფციების (მოდერნიზმი, ანტიმოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი) – ეკონომიკის და ნეოეკონომიკის, ცივილიზაციური განვითარების არეალების (პოსტინდურიალიზმი, ეთნოეროვნული განვითარების და ეთნოეკონომიკური სისტემების) შესწავლა-ანალიზით, რომელიც დღეს არსებობს და, რომლებმაც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციებს თეორიული ფონი შეუქმნა. მათ უნდა შეისწავლონ არა მხოლოდ გეოეკონომიკურ სივრცეში არსებული ზონები, არამედ ისიც, რომელიც ამჟამად ყალიბდება. ეს არის ეთნოეკონომიკური სისტემის ზონა (არეალი), მსოფლიო ამ პროცესის აქტივიზაციის ზღურბლზე იმყოფება, რადგანაც მომავალი ეკუთვნის არა ტექნოგენურ, არამედ ეთნოეკონომიკურ ტრანსნაციონალიზაციას" [7, გვ. 156]. გუნდმა, რომლის ჩამოყალიბების რეკომენდაციასაც ჩვენ ვიძლევით, პასუხი უნდა გასცეს ამ პოზიციას, ამ აზრს. ამის გარდა, პასუხი უნდა გაეცეს იმ გამოწვევებსაც, რომელიც ახალ-ახალი ეკონომიკური სივრცეების – ევროპული, ამერიკული, აზიური (წყნაროკეანური) – ჩამოყალიბებაში გამოიხატება. თუ მათი ეკონომიკური და იდეოლოგიური ტიპი არ იქნება ერთნაირი, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დადგეს ჩვენი მოძრაობის მიმართულება. ამ გუნდმა უნდა შეძლოს საქართველოსთვის თუ ყველაზე საუკეთესოს არა, ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება.

ამ წინადადების გარდა ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მეცნიერების მოსაზრებებს [8, გვ. 112], რომლებიც მიუთითებენ გლობალიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ან გაეროს შესაბამისი ქვედანაყოფის შექმნის აუცილებლობაზე. უფრო მისაღებად კი მიგვაჩნია მეცნიერ ე. ეთერის წინადადება, რომ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს შემადგენლობაში შეიქმნას ამ დანიშნულების კომისია, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება ცალკეული ქვეყნისთვის გლობალიზაციის პრობლემების მეტნაკლები ზომით დაძლევის და გლობალიზაციის დადებითი ეფექტების სიმეტრიული განაწილების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება [9, გვ. 266].

საქმე ის არის, რომ ასეთი კომისია უკვე შეიქმნა და მუშაობს კიდეც, მაგრამ როგორც ყოველი კომისია, ისიც მუშაობს მხოლოდ პერიოდულად. ამიტომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით კომისიის ნაცვლად შეიქმნას მუდმივმოქმედი სტრუქტურა, სტაბილური შტატით და სტაბილური ანაზღაურებით, რომელიც მუდმივად იმუშავებს გლობალიზაციის და ტრანსნაციონალიზაციის პრობლემებზე.

მიგვაჩნია, რომ ამ სტრუქტურებში დაცული უნდა იყოს ყველა ქვეყნის თანასწორუფლებიანობა, მათი ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად. გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული კონსესუსის წესით და ისინი შესასრულებლად სავალდებულო უნდა იყოს როგორც ეროვნული სახელმწიფოებისთვის, ისე ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მესხიძე თ., ეკონომიკური გლობალიზაციის ზოგიერთი თავისებურებები, კონფერენციის მასალები, თსუ, 6-7 აპრილი, 2012.
2. მექვაბიშვილი ე., გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა, ჟ. "ბიზნესი და კანონმდებლობა", აპრილი, 2009.
3. დისკუსია თემაზე: 'გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი", გაზეთი 'განათლება, მეცნიერება, ბიზნესი", აპრილი, 2003
4. ჭითანავა ნ., გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები, ჟ.: "მოამბე", 2003, ტ. XI-XII.
5. გაზეთი "კვირის პალიტრა", 8-14 იანვარი, 2007.
6. ოთარ ჭილაძის უკანასკნელი ინტერვიუ, გაზეთი 'კვირის პალიტრა", 20-26 დეკემბერი, 2010.
7. ხარბედია ლ., მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გეოპოლიტიკური კონცეფციები, კონფერენციის მასალები, პ. გუგუშვილის ინსტიტუტი, თბ., 2014.
8. მესხია ი., კვარაცხელია გ., გლობალიზაციისა და ეკონომიკური სუვერენი-ტეტის თავსებადობის საკითხისთვის, ჟ.: "სოციალური ეკონომიკა", ¹3, 2003.
9. ეთერია ე., მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი: თეორიულ-ინსტიტუციური ასპექტები, შრომების კრებული – "გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება, თბ., 2008.

GEORGIA FACE TO FACE TRANS-NATIONALIZATION AND GLOBALIZATION

LASHA VASHAKIDZE, Doctoral candidate of GTU

The article considers meaning and area of globalization and trans-nationalization. It states that both events are objective phenomenon of the era and Georgia can not stay isolated from it. This action will turn country apart from the world and provoke its destruction.

The article reviews the Georgian scientists (E. Mekvabishvili, I. Meskhi, D. Kvaratskheliaetc) writers (O. Chelidze) and religion figures (Ilia II) viewpoints on this issue. The article concludes that Georgia should be involved in those process but do not lose identity.

The article recommends instead the committee to establish permanent, functioning structure in UN.